

ქვაჭალათელები ოსმალების მიერ 1918 წელს დანგრეული ეკლესიის აღსადგენად დახმარებას ითხოვენ



„ალიონი“. სოფელ ლიხაურის ქვაჭალათის უბნის მოსახლეობა ოსმალთა მიერ 1918 წელს დანგრეული ეკლესიის

აღსადგენად, ან იქვე ახალი სამლოცველო ტაძრის ასაშენებლად ადგილობრივი ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ

კანონიერებისა და შესაძლებლობის ფარგლებში.

შესაბამისი განცხადებით, რომელსაც ხელს 301 ქვაჭალათელი აწერს, მოსახლეობამ 15 მაისს ჯერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს მიმართა. განცხადებაში აღნიშნულია, რა საშუალებები ჩაატარეს და რაში ითხოვენ დახმარებას: ეკლესიის აღდგენისა და გაწმენდის ნაკლებიარის მიდამო და მის მიმდებარე ყოფილი სასაფლაოს მიდამოც, გაყვანილია საწრეტი არხები, შეკიდულია ჭიშკარი. ტერიტორია, გზის ჩათვლით, საჭიროებს შეღებვას, მძლავრი ტრაქტორით აკაციის ძირების ამოძირკვას, ასევე გზის მოსწორებას, რათა შეიქმნას სათანადო პირობები არქეოლოგიური კვლევისათვის, ეკლესიის ნაშთის საძირკვლის კარგად გამოჩენისა და შესწავლისათვის, რამდენად შესაძლებელია მასზე ახალი ტაძრის დაშენება. ტერიტორიის შესაღობად დამზადებულია 200 ცალი ბოძი, დანარჩენი შესაღობავი მასალის (მათუშლაძე, მათუშლი) და შესაბამისი საშუალებების ჩასატარებლად სულ საჭიროა 2950 ლარი.

ამავე დროს, ქვაჭალათელები, ნაკლებიარის მცენარეთა ფესვებისგან გაწმენდისა და ტერიტორიის მოსწორების მიზნით, ითხოვენ ორი-სამი მძლავრი ტექნიკის წაშლას. 11 აგვისტოს ამას მოჰყვა მეორე განცხადება, ამჯერად

მუნიციპალიტეტის გამგებელ მერაბ ჭანუყვაძისა და გურიის გუბერნატორ ვია სალუქვაძის სახელზე: „...გულწრფელად გვჯერა, რომ წინამდებარე თხოვნა თქვენ მიერ ნამდვილად შესრულდებოდა, რომ არა ყველა ქართველისათვის გულშემზარავი თბილისის სტიქია... და კარგად გვესმის, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხელისუფლების ყველა შტოს ეკონომიკური შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად. პლუს ლარის გაუფასურება და ბიუჯეტის გასავლის შემცირება... მაგრამ გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადახედოთ ამ საკითხს და იქნებ შესაძლებლობის ფარგლებში გამოწ-

ახოთ საშუალება და დაგვეხმაროთ, რათა დაწყებული ქრისტიანული საქმე გზაზე არ მივატოვოთ, უფალი არ გვაპატიებს“, – აღნიშნულია განცხადებაში. „ალიონი“ დაინტერესდა რა ბედი ეწია ამ განცხადებებს ადგილობრივ ხელისუფლებაში **მერაბ ჭანუყვაძემ**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი: „2016 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურის, სპორტის, რელიგიისა და ახალგაზრდულ საქმეთა ხელშეწყობის პრიორიტეტში, ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამის მუხლში, გათვალისწინებულია 50 000 ლარის გამოყოფა.



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. №48 (10138), 7 დეკემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე 2015 წლის ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები შეიტანეს

ალიონი. 2 დეკემბერს თემების მუნიციპალიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვია მამაკაიშვილმა საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოადგინა. შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეცტრანსფერები) 250 000 ლარით გაიზარდა, ხოლო საკუთარი შემოსავლები 324 000 ლარით; აქედან ფიზიკური პირების ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) –220 000 ლარით, ხოლო

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან ქონების გადასახადი – 104 000 ლარით. ასევე შემოსავლის ნაწილში ტრანსფერი 21 096 ლარით შემცირდა. 20 000 ლარით შემცირდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი, რაც ვია მამაკაიშვილმა იმით ახსნა, რომ წლის დასაწყისში აღნიშნული მასალების ფასი მაღალი იყო და საწვავის ღირებულება შემცირდა. შესაბამისად მიიღეს ეკონომია. გაიზარდა: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (არასაც-



„ტყვიის ნარჩენები განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე და მოზარდებში იწვევს გონებრივი განვითარების შეფერხებას“

ახსნის უნდა ელოდეს ოზურგეთის მოსახლეობა უახლოეს მოგზაობაში

ნუზარ ასათიანი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ალიონი“, №47)

მაინც რას აპირებს შპს „ჯეოგადამამუშავებელი“, რომელმაც შპს „მანსაროვიდან“ იჯარით აიღო ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ნაწილი ფართი (დამოუკიდებელი ჟურნალისტის, გოჩა ჭანიშვილის ცნობით, მიწის ფართობის იჯარით გაცემა საჯარო რეესტრში დაფიქსირებული არ არის) შ.პ.ს. „ჯეო გადამამუშავებელი“-ს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დადებული ინფორმაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ლიხაურში (ეს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაა, მჭიდრო მოსახლეობით). არსებულ, ყოფილი ოზურგეთის ექსპერიმენტალური მანქანათმშენებელი საწარმოს შენობა-ნაგებობებში აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას გეგმავს.



რთისგან სუფთა ტყვიის მიღება წლიურად 15 000 ტონის მოცულობით.

საწარმოში ასევე დაგეგმილია აკუმულატორების დამსხვრევის დროს წარმოქმნილი სხვა ნარჩენების (პოლიპროპილენი, პოლიეთილენი, პ.ე.კ.) გადამამუშავება და მეორადი ნედლეულის ნახევარფაბრიკატის დამზადება. საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვება გათვალისწინებულია 2015 წლის I კვარტალში. შ.პ.ს. „ჯეო გადამამ-

ამუშავებელი“-ს საქმიანობა აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენებიდან სუფთა ტყვიის მიღებასთან დაკავშირებით, გაგრძელდება 20-25 წლის მანძილზე მაინც. – აი, მათი მიზნების მოკლე რეზიუმე. აი ამ საქმიანობას გვემავს „ჯეო გადამამუშავებელი“-ს დირექტორი, ბატონი ამანპრიტ სინგ ბჰალლა და მისი ქართველი პარტნიორი, რომლის ვინაობის გამხელა ამ ფირმის საკონტაქტო პირობა სალომე ქათამაძემ გაზეთ „ალიონთან“ არ ისურვა.

თუ როგორ უარყოფდა „ჯეოგადამამუშავებელი“ ყოფილი მანქანათმშენებლობის ტერიტორიაზე აკუმულატორების დამლისას მიღებული ტყვიის კუსტარულად გადამამუშავებას, ამის მრავალჯერ მოწმე ვართ, ასევე ვერ დავადასტურებთ გაიმართა თუ არა 2014 წლის 26 დეკემბერს „ჯეოგადამამუშავებლის“ პროექტი „ვადგასული და მწყობრიდან ტყვიის აკუმულიატორების ჯართისა და



02/12/2015 12:20

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყვლება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავ-თეთრი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან აღიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად
- საჯარო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით - 12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების ტარიფები

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ. №3 ტელ: 558 499 100

გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“ მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი მიზნობრივი აქტივობა „ალიონით“

ქვაჭალათელები ოსალებს მიერ 1918 წელს დაწვეული ეკლესიის აღსადგენად დახმარებას ითხოვენ

აღნიშნული თანხის განკარგვა ხორციელდება შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის მეშვეობით, ანუ კიდევ ერთხელ განვიმარტავ, გამოყოფილი თანხის ხარჯვის მიზნობრიობას განსაზღვრავს შემოქმედის ეპარქია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ლიხაურის მცხოვრებლებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან პასუხი უკვე მიიღეს. მუნიციპალიტეტის გამგეობას არ აქვს უფლება, პირდაპირ მიუთითოს საპატრიარქოს, თუ რა მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენ მიერ გამოყოფილი თანხა. თუ მიმართავენ საპატრიარქოს, ის გადაწყვეტს, მიზანშეწონილია თუ არა თანხის მიმართვა ეკლესიის აღდგენად ან ახალი სამლოცველოს ასაშენებლად.“

ბია სალუქვაძე, გურიის გუბერნატორი: გავეცანი სოფელ ლიხაურის მოსახლეობის კოლექტიურ განცხადებასა და ამჟამად არსებულ მდგომარეობას. განვიხილეთ აღნიშნული საკითხი და გეგმვით, რომ ოზურგეთის მუნიცი-

პალიტეტის გამგეობამ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შემოქმედის ეპარქიისათვის გარკვეული თანხები გაითვალისწინა. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება, ეპარქიას მიუთითოს, თუ რა მიზნით გამოიყენოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. რაც შეეხება სამხარეო ადმინისტრაციიდან დახმარების გაწევას, გუბერნიის დებულება არ ითვალისწინებს ასეთ ქმედებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ვთხოვთ, ლიხაურელებს დახმარებოდნენ ტექნიკით. საერთოდ, ისეთი საკითხი, როგორცაა ტაძრის ან ეკლესიის აგება თუ განახლება, აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული ეპარქიის ხელმძღვანელობასთან. თუ ეპარქიას მიზანშეწონილად მიიჩნია ქვაჭალათში ეკლესიის აგება, პროცესი შეიძლება დროში ცოტათი გაიწელოს, მაგრამ უფლის ნებით, ამ საღვთო საქმეს წინ ვერაფერი დაუდგება“.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ მოინახულა



სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და გურიის გუბერნატორმა ბია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ მოინახულეს და ციტრუსის მიღების პროცესს ადგილზე გაეცნენ. საწარმოში ციტრუსის ჩაბარება-რეალიზაცია აქტიურად მიმდინარეობს. „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ 2013 წლის ბოლოს გაიხსნა. კომპანიამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 600,000 აშშ დოლარის სესხი აიღო. საწარმოში ციტრუსის გადამამუშავებელ-დამხარისხებელი სახეები და პროდუქციის შესანახი მაცივარ-საწყობი მოწყობა. მიმდინარე წელს საწარმოს პლასტმასის ყუთების წარმოების ახალი ხაზი დაემატა. განხორციელდა 1 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ მიმდინარე სეზონზე 3-4 ათასი ტონა ციტრუსის გადამამუშავებს და ექსპორტს გეგმავს. საწარმოში დასაქმებულია 200-მდე ადგილობრივი მცხოვრები. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ად-

გილობრივ ბაზარზე და დსთ-ს ქვეყნებში ხდება. როგორც საწარმოს დირექტორმა დავით სისარულიძემ აღნიშნა, საწარმო სრულ მზადყოფნაშია და შესაბამისად, ციტრუსის რეალიზება - ჩაბარება ადგილობრივ მოსახლეობას შეუფერხებლად შეეძლება. „ჩვენი რეგიონისთვის ციტრუსი მნიშვნელოვანი, ამაღროლად პრობლემური პროდუქტი იყო. წლების განმავლობაში მანდარინის გასაღება სისტემურ ხასიათს არ ატარებდა. პროცესი უკვე დალაგდა. მიხდა აღვნიშნო, რომ წელს ციტრუსის გასაღების და რეალიზაციის კუთხით ჩვენს რეგიონს პრობლემა არ შეექმნება.“ - განაცხადა გურიის გუბერნატორმა ბია სალუქვაძემ. „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანიაში“ ციტრუსის მიღება-გადამამუშავების პროცესს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი მარიანა მორგოშა, გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე დაესწრნენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პრობაციონერს საპარამპლ-მტლი გადაეცა



ალიონი. 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა შშმ პირებით მსჯავრდებულებს სავარძელ-უტლები გადასცეს. პრობაციის რეგიონულ ბიუროებში ჩატარებული კვლევების შედეგად გაირკვა კონკრეტულ რეგიონებში სავარძელ-უტლების რაოდენობა, პრობაციის ბიუროებში აღრიცხვაზე მყოფ პრობაციონერებს შორის. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თხოვნით, შეზღუდ-

ული შესაძლებლობის მქონე პრობაციონერებისათვის ეტლები გამოჰყო არასამთავრობო ორგანიზაციამ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. დაბა ნასაკირალში მცხოვრებ, შშმ პრობაციონერ თფ-ს გურიის პრობაციის ბიუროს უფროსმა იოსებ წიკლაურმა, თფიცრმა ნათია ნიკოლაიშვილმა, სოციალურმა მუშაკმა ნინელი კალანდ-აძემ სავარძელ-უტლი სახლში მიუტანეს. სავარძელ-უტლები პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუშაკებმა ბენეფიციარებს სხვა რეგიონებშიც გადასცეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ სტუმრობდნენ

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, 1992 წელს დაწესდა. ამ დღესთან დაკავშირებით, შშმ პირების უფლებებისა და თანასწორობის საპატივსაცემოდ, ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ, საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“-მ ღონისძიება გამართა. ცენტრის ბენეფიცი-

ლის მოსწავლეები დაესწრნენ. ბენეფიციარებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან საჩუქრები: საახალწლო ნაძვის ხე, ეტლი და ტკბილეული მიიღეს. ბენეფიციარებს გურიის გუბერნატორის მოადგილე მიესალმა და მათ გუბერნატორისგან გია სალუქვაძისგან გულთბილი მილოცვა გადასცა. „დღეს ერთი ღამეა დღე ვაჩუქეთ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ისინი ბედნიერები არიან; მათ საოცარი კონცერტი გამართეს



რები საკონცერტო პროგრამით იმ ადამიანთა წინაშე წარსდგნენ, რომლებმაც დღევანდელი დღის გაზიარება მათთან ერთად გადაწყვიტეს. ღონისძიებას გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკო-

ლა ემოციებით დატვირთული ვარ; მიხდა აღვნიშნო, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა; ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, შშმ პირების საზოგადოებაში უფრო მჭიდროდ ადაპტირების მიზნით ძალხედ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაც ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია“.- აღნიშნა გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილმა.

„ტყვიის ნარჩენები განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე და მოზარდებში იწვევს გონებრივი განვითარების უფერხებას“

ანუ რას უნდა ელოდოს ოზურგეთის მოსახლეობა უახლოეს მომავალში



ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია, საჯარო განხილვა.

ბადრი გობრონიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: —ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, ჩემი უშუალო ინტერესი იქნებოდა ასეთ განხილვაზე დასწრება, მაგრამ არ ვყოფილვარ და არც მამსხივენი ინფორმაცია მისცეს. **საბავშვო განვითარების განყოფილების მუშაკები:** —ჩვენს განყოფილებაში არსებული საბავშვო განყოფილება და საბავშვო ბაღი, რომელიც ადგილობრივი მხარის დახმარებით მოწყობილია, ამჟამად დაზარალებულია და მისი მოწყობის მიზნით საჭიროა დამატებითი ინვესტიცია.

სხნის და ახალი საშუალო ადგილების შექმნის, მაგრამ მეც მაქვს კითხვა: —რამდენად უსაფრთხოა ასეთი საწარმოს გახსნა ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე. რა ზიანი შეიძლება მიაღვეს ბუნებას, ადამიანების ჯანმრთელობას, რა კვლევები ჩატარდა ამ მიზნით. ვიცით, შპს „მანაროვის“ კუთვნილ ქარხანაში ხდებოდა ტყვიის კუსტარულად გადამამუშავება და ამაზე იყო მოსახლეობის პროტესტი, წერდა ადგილობრივი მედია. ასეთ თემებზე მუნიციპალიტეტის უნდა ფლობდეს დაწვრილებით ინფორმაციას და მოსახლეობაც. ამ მიმართულებით გარდაცემულია ან თემის საჯარო განხილვა, თანამდებობის მქონე პირები უნდა განსაზღვროს აქტიურობის მიზნები და მათი განხორციელების გზისკენ დაეხმაროს. გარდა ამისა, საჭიროა ადგილობრივი მხარის დახმარებით მოწყობილი საბავშვო განყოფილების დასაცავად საჭირო ინვესტიციების დახმარება (ყოფილი მანაროვის 200 მეტრი), ვიდრე ყოფილი საბავშვო განყოფილების დასაცავად საჭირო ინვესტიციების დახმარება. ამ მიმართულებით საჭიროა საბავშვო განყოფილების დასაცავად საჭირო ინვესტიციების დახმარება.

ლავრონტი ბიგვაძე, ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე: —ზოგადად მე მხარს ვუჭერ ახალი საწარმოს გახსნას, რომელიც აუცილებელია წინაპირობაა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის. ამასთან ნებისმიერი პროექტის საწარმოს გახსნა მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისა და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივების დაცვაზე.

ცნობილია, რომ ტყვიის ნაღვლის საწარმო ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით უნდა დაიხსნას.

რეზინისათვის საკმარის მაღალი რისკის შემცველ საწარმოთა კატეგორიას განვითარება. ამჟამად გამოდინარა, მიზანშეწონილად არ მიიჩნევა შემოთავაზებული პროექტის პროექტის განხორციელება. ამჟამად დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც ისევე უნდა არის წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის, ასევე მაღალი რისკის ფაქტორების მატარებელი საწარმოები.

იმ შემთხვევაშიც კი როცა ახალი საწარმოს მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, მაშინაც კი მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის აზრიც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია მიეწიოს შპს „ჯეოგადამამუშავებელი“-ს მიერ განსახორციელებლად წარმოდგენილი ტყვიის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტის საჯარო განხილვა მეცნიერების, ექსპერტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების, არასამთავრობო სექტორისა და მოსახლეობის მონაწილეობით.

სამედიცინო ტექნიკის აზრით, მცირეფაზიანი მდინარე აქტისფაღლი და მისი შენაკადი, რომელიც უშუალოდ ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიედინება, ვერაუქონებს ადამიანების ჯანმრთელობას და მიწის ნაყოფს.

ჩვენ აქ ჩინეთის მაგალითიც მოგვყავს, სადაც ეკოლოგიური პრობლემები, სიმსივნური დაავადებები გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული უდიდესი პრობლემა გახდა.

„გუიში ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა 50 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მიერ დადგენილი სტანდარტებთანაა განსაზღვრული. სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა გონებრივ განვითარებას აფერხებს...“

ჭენანში, ნიადაგში იოდის ნაკლებობისა და ტყვიის ზედმეტი შემცველობის გამო, პროვინციის მცხოვრებთა ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი საშუალოზე დაბალი იყო. გარდა ამისა, სულ უფრო მეტი სახნავ-სათესი მიწა ირწყვება ნარჩენი წყლებით, რის გამოც შემცირდა მოსავლიანობა, დეცა პროდუქციის ხარისხი და

ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა. ზეჯიანგის მსგავსად გარემოს დაბინძურების გამო ჰენანში იმატა თანდაყოლილმა სიმანხივეებმა.“ (ინგლისელი ჟურნალისტის, ჯონათან უოტისის წიგნიდან „ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში“, თბილისი, 2012 წ.)

აღნიშნულ თემას კარგად იცნობს ადამ ბერიდის სახელობის ნიადაგის და სურსათის დაიგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **რუსუდან ტაპიძე**.

იგი თვლის, რომ თავის დროზე თავად მანქანათმშენებელი ქარხანა არ უნდა აშენებულიყო ქალაქის ტერიტორიაზე, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს იგი მოსახლეობიდან მინიმუმ 5 კილომეტრით უნდა ყოფილიყო დაშორებული და არავითარ შემთხვევაში მდინარის აუზთან ახლოს.

„ჩვენ გვაქვს მაგალითი იმისა, თუ რა მდგომარეობაშია ჭიათურაში უფრო დაბალი მაგნიტების შემცველი მანგანუმის ნარჩენებისაგან მოსახლეობა და საჯარგულები.“

ტყვიის ნარჩენები განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანის ნერვიულ სისტემაზე და მოზარდებში იწვევს გონებრივი განვითარების უფერხებას, ე.წ. „სიჩლუნგებს.“

სასურველია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შექმნას სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაშიც (თუკი მიგვიწვევენ) ჩვენი სპეციალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას და მოსახლეობას დაუსაბუთონ რამდენად უსაფრთხოა ან საფრთხეების შემცველი იქნება „ჯეოგადამამუშავებლის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი-განუცხადა ქალბატონმა რუსუდანმა გაზეთ „ალიონს.“

ჟურნალ „სუფთა გარემო“ (ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისის“ გამოშვება, №4, 2014 წ) წერს, რომ ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩაზე ააშენდა ნიადაგის ნიშნულზე მაღალია მიდამო ლითონების შემცველობა, ამათ შორის ტყვიის (Pb) 58-ს აჭარბებს, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება საშუალო მაჩვენებელს. საკვლევი ნიშნულის მიხედვით ეს მაჩვენებელი ღანძრის უბნის მუნიციპალიტეტში 22-ს უდრის.

გაზეთი „ალიონი“ თაყაიშვილის ქუჩის მოსახლეობასაც გაესაუბრა:

საბავშვო განვითარების განყოფილება, დიასახლისი: —5 შვილის დედა ვარ. ექიმის უბანში რომ გავთხოვდი, ისე მომწონდა აქაურთა ვერ წარმოიდგენო. ლამაზი ბებიები, მდინარე აჭისწყლის სუფთა ჭალა, სუფთა ლელები, ტყის კორიბები, სუფთა ჰაერი — მოკლედ ეკოლოგიური ოაზისი იყო. მესმის, ქალაქში საწარმო უნდა იყოს, მაგრამ რა დააშავა ექიმის უბნის მოსახლეობამ არ ვიცი. ბუნებრივად და გაზიგასამართი სადგურები, იქეთ „ბლექსი გრუპის“ ასფალტის ქარხანა. ამას კიდევ აიტან, მაგრამ ტყვიის გადასაღობი საწარმოს აგება ხომ კატასტროფაა. კუსტარულად აღნობდნენ ხანდახან და რა დღეში ვიყავით. თეთრი კამლი რომ გაჩნდებოდა ღამით, სუნთქვა გვეკროდა. ფანჯრებს ვერ ვაღებდით. ამას ვაპროტესტებდით, მერე რა...ახლა მთელ ამიერკავკასიაში რაც ვადასულები და უფარგისი აკუმულირებულია, ექვსიდან უნდა მოზიოდონ და გადაამუშაონ. ექვსიდან და მთლიანად ოზურგეთში მოიმატებს ონკოლოგიური დაავადებები. რატომ აპირებენ ამ ლამაზი კუთხის ასე გაუბეღურებას?

ელიკ თუშანიანი:—ჩემი ძმა ვალერი მანქანათმშენებლობის ქარხნის გახსნიდან იქ მუშაობდა. უმაღლესი კატეგორიის ხარატი იყო და განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ჩაის გადამამუშავებელ უნიკალურ დანადგარებს ქმნიდნენ. ვერ უპატრონენს ამ ქარხანას და სხვებთან ერთად გასული საუკუნის 90-იან წლებში ვალერი ოჯახთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში წავიდა საშუალოდ და იქ დარჩა. მე უმცროსი ძმა ვარ. აქ ცხოვრობდნენ ჩემი ბაბუა და ბებია, ჩემი მშობლები. სახლის უკან ჩამოვავალი მდინარე ყველა ადგილზე პრობლემებს გვიქნია და ახლა ქალაქის მერია ვუბრუნებ გვეკეთოს. მისარია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ასეთ პროექტებს ახორციელებს, მაგრამ წყალში ჩაყრილი იქნება ყველაფერი თუ ეს ტყვიის საწარმო გაკეთდა. 200 მეტრი თუ იქნება ქარხნიდან. გული იმაზე მწყდება, ჩემი ძმა ასე შორეულ მხარეში გადასახლდა. მეც წავიდე? რატომ?

გაზეთი „ალიონი“ ერთ-ერთ იმათგანს დაუკავშირდა, რომელიც „მანსაროვის“ თუ „ჯეოგადამამუშავებლის“ მიერ ტყვიის კუსტარულად დნობას აპროტესტებდა.

—გაფიცვებ ყველაფერს, არ მომისხენო გაზეთში. რა აზრი აქვს ჩვენს პროტესტს, სტატიებს, თუ „პრიზა“ ჰყავთ, წინ ვინ დაუდგება... ერთადერთი ის არის, რომ ოზურგეთშიდან გადასახლდეთ— გვითხრა მან.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ ეტაპზე სახალხო დამცველის ოფისზე მიმართავს გვემგვს.

სპიტაკის მიწისძვრიდან 27 წელი გავიდა...

1988 წლის 7 დეკემბერს სომხეთში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. ამას მომდევნო წლებში მიწისძვრები საქართველოშიც მოჰყვა, რასაც ადამიანების მსხვერპლი ახლდა. სომხეთის რესპუბლიკაში მიწისძვრა 11 საათსა და 41 წუთზე მოხდა. 10-ბალიანმა მიწისძვრამ 30 წამში მთლიანად გაანადგურა



ქალაქი სპიტაკი, ძლიერი ნგრევა გამოიწვია ქალაქებში გიურში (დენინაკანი) და ვანაძორში (კიროვაკანი). დაიღუპა 25 ათასი ადამიანი, 140-დაინვალიდა, 514 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ეს იყო სომეხი ხალხის უდიდესი ტრაგედია, რომელსაც წინ უძღვოდა სუმგაითში მომხდარი ეთნიკურ ნიადაგზე სომეხი მოსახლეობის მსხვერპლი.

ეს იმითმ გამოიხატა, რომ პირველები, ვინც დაზარალებულ სომხეთს მეგობრული ხელი გაუწოდა, საქართველო იყო. ეს იყო ისტორიული ძმების თანადგომა. ქართველი მედიკები ტრაგედიიდან რამდენიმე საათში უკვე პირველ ოპერაციებს აკეთებდნენ. მასხოვს, პირველები ღულუშაურის კლინიკის

ექიმები ჩავიდნენ. ქართველი მაშველები, ჯარისკაცები, მოხალისეები აქტიურად მონაწილეობდნენ ნანგრევებიდან ხალხის ამოყვანაში. ასეთი საქმეები უნდა გავიხსენოთ. დღემთა ნუ ქნას, მსგავსი ტრაგედია რომელიმე ქვეყანაში კვლავ დატრიალდეს.

მანანა შავოიანი.

თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

ხოვრებელი შენობები) -5 600 ლარი; გზები -120 520 ლარი; სხვადასხვა კაპიტალურ ხარჯებში -123 880 ლარი; მუნიციპალიტეტის გზების მოვლა-შენახვის ხარჯი -36 500 ლარი; საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთა-დრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯი -21 500 ლარი; სოფ. მერიაში ელექტრო-ტრანსფორმატორის, მაღალი ძაბვის კაბელის და სხვა მოწყობილობის ხარჯი -50 000 ლარი; გამგებლის სარეზერვო ფონდის ხარჯი -30 000 ლარი; კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, სოციალური დახმარების ნაწილი სასაქონლო ფორმით - 30 000 ლარი; მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შექმნის ხარჯი -26 000 ლარი; კულტურული ობიექტების დაფინანსება სუფსიდირების ნაწილში -15 000 ლარი.

სულ ბიუჯეტი გაიზარდა 552 904 ლარით.

„მაინც არაა ჩემი სიღმერა“

ეს ფრაზა ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა (მსახიობი ენერ ნიკოლაიშვილი)“ შემოქმედის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ზეინა წულაძემ** მოკლე დეპუტატის შემდეგ წარმოთქვა. საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურების ხარჯის 135 000 ლარით გაზრდას ეხებოდა.

—წელს მაისიდან მოყოლებული მოხდა მუნიციპალიტეტში შტატების ზრდა. ინფრასტრუქტურის, სამხედრო გაწვევის, საფინანსო და სხვა სამსახურებს 17 საშტატო ერთეული დაემატა, რამაც მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების ხარჯის ზრდა გამოიწვია —განმარტა **გია მამაკაიშვილმა**.

დამხმარება თუ არა თემების მუნიციპალიტეტის ოფისების სახელმწიფო თეატრს?

აღმაშენებლის ქუჩაზე დეკორატიული მუხის ჯიშის ნერგები დაირბო

. ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის სერვის-ცენტრი“ -ის გამწვანების განყოფილებამ დეკორატიული პონტოური მუხის 180 ნერგი ქუჩის ორივე მხარეს, რეაბილიტირებულ მონაკვეთზე დარგო. სპეციალისტების მიერ ხის აღნიშნული ჯიშის სხვადასხვა პროფესიული კონსულტაციისა და მსჯელობის შედეგად იქნა შერჩეული. პონტოური მუხა მარადმწვანე ჯიშისაა. 2 წელიწადში 3-4 მეტრის სიმაღლეზე იზრდება და დეკორატიული გასხვლის პირობებში საკმაოდ ეფექტურ ვიზუალს იღებს. პონტოური მუხა ქალაქების გამწ-



თემების საკრებულოს სხდომაზე კრიტიკულად მიუღწინ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ნაწილობრივ დაფინანსების საკითხს.

— მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრს ქალაქის მერია აფინანსებს, ჩვენ კეთილი ნება გამოვხატეთ და ჩვენი ბიუჯეტიდან წლიურად 50 ათასი ლარით ვაფინანსებთ. კარგი იქნებოდა საახალწლოდ 2-3 დღიანი კონცერტი სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისათვისაც გაემართათ— თქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერელიძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ წელს გამართულ სპექტაკლებზე საკრებულოში არაერთი უფასო მოსაწვევი მისულა.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის უფროსმა **გია მამაკაიშვილმა** აღნიშნა, რომ თეატრი პატივისცემას გამოხატავდა თემების მუნიციპალიტეტის მიმართ და აფიშაზე მიუთითებდა, რომ კონკრეტულ სპექტაკლს ჩვენ ვაფინანსებდით. — მაგრამ იქ თემების გამგეობა ეწერა და არა თემების მუნიციპალიტეტი. ჩვენ თეატრს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ სოფლის მოსახლეობის სპექტაკლებზე დასწრებაზეც უნდა ვიფიქროთ - აღნიშნა **კვერელიძემ**.

„არ გვინდა ლაპ-ლანდიური ფითელი თოვლის ბაბუა, ჩვენი გვინდა“

თეატრის თემს საახალწლო ზეიმის თემა მოჰყვა.

— არ მინდა ლაპლანდიდან ჩამოსული წითელი თოვლის ბაბუა, ქართული თოვლის ბაბუა გვინდა თეთრი ნაბღითა და ზურჯინით —თქვა დეპუტატმა **ბიძინა გობრონიძემ**.

—თუ ვერ იპოვით ისეთ ასეთ „თოვლის ბაბუას“, მე ვიქნები. მე ჩავიცვამ ჩოხას და დავვიღო სოფლებს — იუმორი შემოიტანა დეპუტატმა **ზეინა წულაძემ**.



გია მამაკაიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მზადაა, განიხილოს რა ფორმით შეხვდნენ მუნიციპალიტეტში შემავალ დაბებსა და სოფლებში ახალ წელს, ოღონდ წინადადებები დროულად მიაწოდონ თემების რწმუნებულებმა და დეპუტატებმა. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი 250-300 ლარის საჩუქარს გადასცემს სადღესასწაულო დღეებში დაბადებულ ბავშვებს.

ეს წინადადება საკრებულოს ხელმძღვანელებმაც გაიზიარეს.

სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს დან-მარება სჭირდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სოფელ დიმიტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ექიმმა ტიტე მეღლაძემ** სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის პრობლემებზე გაამახვილა დეპუტატების ყურადღება.

—იცი, ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო სამსახური ამჟამად „მედლაფას“ კლინიკაშია განთავსებული. „მედლაფა“ კერძო კომპანია, ხოლო სასწრაფო-სამედიცინო სამსახურს სახელმწიფო აფინანსებს და ადგილმდებარეობა უნდა შეიცვალოს. იყო საუბარი ქალაქის განაპირა, ლაშქის უბანში პოლიციის ძველ შენობაში

გადასვლაზე, მაგრამ იგი ძალიან დამორბეულია ცენტრს.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ორი კვირის წინ გულში დაჭრილი 19 წლის ბიჭი დროულად მიიყვანა კლინიკაში ოზურგეთის სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ. წუთები წყვეტდა ყველაფერს. ექიმებმა ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად და დღეს იგი უკვე საავადმყოფოდან გაეწერა. ამით იმის თქმა მინდა, რომ სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის 15 კაციანი ბრიგადა ისეთ ადგილას უნდა განთავსდეს, რომ მან ოპერატიულად იმოქმედოს.

საკრებულოზე ითქვა, რომ ქალაქის მერია და თემების მუნიციპალიტეტი აპირებდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სასწრაფო-სამედიცინო სამსახურისთვის ბინის ქირაფლობას ოზურგეთის ბავშვთა ყოფილი საავადმყოფოს შენობაში. თუმცა, შემდგომ ეს მოლაპარაკება ჩაიშალა და მერიამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს აბოლონ წულაძის ქუჩაზე უქირავა ბინა. სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ბინის თემა ქალაქის მერიამ უნდა გადაჭრას, თუმცა თემების მუნიციპალიტეტი თავის წილს გაიღებს ამ სამსახურის პრობლემის გადაჭრაში.

სათაფაშო ბიჭნი-

დავით მჭავანაცხე: „სამი სახის კანონდარღვევა იკვეთება“

ალიონი. თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა **ფრაქცია „ნაციონალური - მოძრაობიდან“ დავით მჭავანაცხემ** განცხადება გააკეთა.

—საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი კვერელიძეს** ერთ-ერთ გადაცემაში დებატებისას შევპირდი წარმოვუდგენდი დოკუმენტს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნულ გამგებლის წარმომადგენელის შესახებ. დღეს მე წარმოვადგენთ ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის, დავით რობაქიძის მიერ გაცემულ ცნობას, რომლითაც აშკარა კანონდარღვევა იკვეთება.

ცნობაში წერია: „**გაიცა მასზედ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ დაბა ურეკის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი სპეციალისტი ეკატერინე მოლოდაშვილი იქნა სამსახურიდან გასული წლის 2 აგვისტოს. ყოველივე ამის შემდეგ კი იგი 30 დეკემბრამდე თვითნებურად განაგრძობდა სამსახურში სიარულს, თავისი სურვილით მუხმარებოდა დოკუმენტაციის წარმოებასა და შედგენაში.**“

ცნობა გაიცა დანიშნულებისამებრ. დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი დავით რობაქიძე (№2, 23 იანვარი, 2015 წ.)“

დიმიტრი კვერელიძემ უპასუხა, რომ ამ ცნობით დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება, თუმცა მასზე აუცილებლად იმსჯელებენ და ადეკვატურ ზომებს მიიღებენ.

სხდომის შემდეგ დავით მჭავანაცხემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა:

—ამ ცნობით სამი სახის კანონდარღვევა იკვეთება:

1. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა საჯარო მოხელეების დასანიშნად ატესტაცია ჩაატარა, სამსახურებში მოხვდნენ არასაკმარისი კვალიფიკაციის ადამიანები, რადგან კადრების შერჩევა პოლიტიკური ან ნათესაური ნიშნით მოხდა;
2. ეკატერინე მოლოდაშვილი კვალიფიციური კადრი იყო, საკმაო ქულები მიიღო ატესტაციისას, მაგრამ სამსახურში ზემოთდასახელებული მოტივით არ მიიღეს;
3. იმის გამო, რომ დავით რობაქიძეს არ ჰქონდა სათანადო კვალი-

სის მოსაკრებლად დაამტკიცეს


—მართალია ჯერ-ჯერობით ჩვენთან სათამაშო ბიზნესი არ არის, მაგრამ მომავალ წელს შესაძლოა ურეკში გაიხსნას და ამიტომ ჩვენ მომზადებულები უნდა დავხდეთ— აღნიშნეს სხდომაზე.

თითოეული საშორინეს მაგიდაზე კვარტალში 30 000 ლარი იქნება გადასახადი; თითოეულ სათამაშო აპარატზე -3 000 ლარი; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე —საპრიზო ფონდის 10%; სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე -60 000 ლარი; ლატარიის მოწყობაზე-ლატარიის ბილეთის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების -20%; ობიექტის გარეთ ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშობების თითოეულ სალაროზე —კვარტალში 15 000 ლარი; თითოეული კლუბის მაგიდაზე - 10 000 ლარი.

ვიფის გადასახადი არ გაიზრდება

წინა საკრებულოს ხდომაზე და შემდეგ კომისიებში საკითხის განხილვამ გაზრდილიყო თუ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები, მაჟორიტარი დეპუტატების ერთი ჯგუფის უარყოფითმა პოზიციამ შედეგი გამოიღო. საკრებულომ არ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწებზე გადასახადების ზრდა.

საკრებულომ ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მობილიზების მიზნით, სოფლებში: გურიანთა, ბოხვაური, შრომა, ლიხაური, დაბა ურეკი რამდენიმე ობიექტის პრივატიზებისთვის აუქციონის გამართვა. აუქციონი გამართება ასევე სოფლებში: ნატანები, შრომა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების იჯარის წესით გაცემაზე.



იფიკაცია, არალეგალურად ამუშავედა ეკატერინე მოლოდაშვილს და საკუთარი ხელფასიდან შესაბამის ანაზღაურებას ჰპირდებოდა. ფაქტობრივად კი დანაპირები არ შეასრულა და ამუშავა ანაზღაურების გარეშე. მილოდაშვილს წვდომა ჰქონდა ადმინისტრაციულ ერთეულში შემოსულ თუ გასულ ყველა დოკუმენტზე.

ამ ფაქტს შესაბამისი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს- განაცხადა მჭავანაცხემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 21 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ზღაპრის სამყაროში მოგზაურობენ



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის ნოვაციურ პროექტში „მოგზაურობა ზღაპრის სამყაროში“ 34 საბავშვო ბაღიდან 21 მონაწილეობს.

გასულ კვირაში შესაძლებლობა მოგვეცა, დავსწრებოდით დაბა ნარუჯისა და სოფელ ბაზვის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს და ამთავითვე ვამბობთ, რომ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!

დაბა ნარუჯის ორჯგუფიანი საბავშვო ბაღი (მენეჯერი ქალბატონი ციცი მარიალევია), სადაც 115 ბავშვი ირიცხება, მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ანუ ინფრასტრუქტურით არ ყოფილა აღჭურვილი, ნარუჯელმა პატარებმა „წითელქუდას“ და „რწყილი და ჭიანჭველას“ თავიანთი ბავშვური არტისტიზმით, საოცარი მუსიკალურობით, სინქრონული ქორეოგრაფიულით, მეტყველების მაღალი კულტურით, პლასტიკურობითა და გრაციულობით დაამტკიცეს, რომ ძველად მოეპოვებოდა ბაღები მთელ მუნიციპალიტეტში.

რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათი აღმზრდელების ნარევიზი დოლიდის, თამარ თავდგირიძის და მუსიკის მასწავლებლის მავლინა სალუქვაძის დამსახურებაა. მუშანა ტუტოიანი, მეგი შავაძე,

ნარუჯაში მიღებული მაღალი განწყობილება არც სოფელ ბაზვის საბავშვო ბაღში (მენეჯერი ქალბატონი თამარ თოიძე) გავგნებლბა. ბავშვებმა ბავშვებმა თავიანთ საყვარელ ნაცარა კურდღელს ისეთი დღეობა გადაუხადეს, რომ დიდხანს არ დაავიწყდებოდათ როგორც ოუზი-ლარს, ისე სპექტაკლის მონაწილეებსა და მწახველებს.

ბაზვის საბავშვო ბაღი ამ პროექტში მოგვიანებით ჩართულა. ბაღის მენეჯერის თამარ თოიძის თქმით, სპექტაკლზე „ნაცარას დღეობა“, თურმე, მხოლოდ ათი დღე



სოსო აბაშიძე, ნიკო ფუტყარაძე, ვია მახარაძე (სპექტაკლი „წითელქუდა“), თათია ხოზრევანიძე, ნოდარ აბაშიძე, ნატა აბულაძე, გიორგი ბოლქვაძე, ბექა დუმბაძე, ნინო დარჩიძე, დიანა ზანდარაძე, გიორგი ივანიანი, გიორგი მახარაძე, ნიკო მახარაძე, ნათია ტუტოიანი, გოგა ცენტრაძე (სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“) კარგად დაიმსოფრეთ ეს სახელები და გვარები, ეს ის ბავშვებია, რომლებიც უთუოდ თავიანთ ღირსეულ სიტყვას იტყვიან არა მხოლოდ ნარუჯასა და ოზურგეთში, არამედ მთელ საქართველოში.

რაც ყველაზე მისასალმებელია, ეს არ იყო მხოლოდ საბავშვო ბაღის ღონისძიება, ეს იყო მთელი დაბის ზეიმი.

იმუშავეს. თუ ეს ასეა, ბრავო ბავშვებს, რომლებიც თავიანთ კვიცებს „ცაიტილოშიც“ გვარზე ასტუმბენ, რომლებმაც კარგად უწყვიან, რომ სოფლებს კი არა, ზოგიერთ ქვეყანას შემურდება მათი მშობლიური სოფლის დიდი ისტორია.

და ბოლოს, ერთი სასიამოვნო ინფორმაცია: ბავშვი დაწყებულია და გაისად დამთავრდება ევროპული სტანდარტის საბავშვო ბაღის მშენებლობა. ასე რომ, ბავშვებმა ბავშვებმა პერსპექტივაში ყველანაირი შესაძლებლობა ექნებათ, დღევანდელი კეთილი ზღაპარი ზვალინდელ სასიამოვნო რეალობად აქციონ.

პროექტი „მოგზაურობა ზღაპრის სამყაროში“ გრძელდება.

1973-1974 წლის გამოშვების კლასის ხელმძღვანელი, ეთერ აბაშიძე - 82

მას შემდეგ 45 წელი გავიდა. მიუხედავად იმისა, ბევრი დაოჯახებულია და უკვე ბებიები და ბაბუებიც არიან, როცა ერთმანეთს ვხვდებით და მით უმეტეს თქვენთან ერთად ვართ, თავი მაინც ბავშვები გვგონია. ჩვენ ანასეულელები ვართ. ეს იყო მსოფლიოში ცნობილი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ბევრი გენერალური დირექტორით, აკადემიკოსით, მეცნიერ მუშაკით, მუშით და ჩვეულებრივი დიასახლისით, მაგრამ ნაკითხი და განათლებული ხალხით.



თქვენ ერთმანეთის პატივისცემა და გატანა გვასწავლეთ. არავის გამოარჩევდით, რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი გამორჩეულები იყვნენ, მაგრამ კლასში ყველას თანაბარი ყურადღება გვქონდა.

თქვენი მოწყობილი ექსკურსიები დაუვიწყარია, მოგვატარეთ თითქმის მთელი საქართველო.


გაზარდეთ ორი დისშვილი. ღმერთმა კარგად გიმყოფოთ და ამით ქვეყნის და თქვენი ოჯახის წინაშე ქალის უდიდესი როლი - დედობის ვალიც მოინახდეთ.

ძვირფასო და ღირსეული ქალბატონო, გილოცავთ დაბადების დღეს, ავერ კარზე მომდგარ ახალ წელსა და შობა-კალანდას!

იყავით დიდხანს. ჩვენი დედები ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ თქვენ იმედად გვემუშავებთ. სკოლაში შექმნილი აღმზრდელი დედა ხომ ისევ ჩვენთანაა.

სიყვარულითა და პატივისცემით, **ანასეული 1973-1974 წლის გამოშვება 2015 წელი, 7 დეკემბერი.**

ოზურგეთი 14 წლის ლუკა ჩხარტიშვილის დასახმარებლად გაერთიანდა



ოზურგეთის დრამატულ თეატრში ოზურგეთელმა და ბათუმელმა ხელოვანებმა ლუკა ჩხარტიშვილის მიძიე დიანოზთან ბრძოლის მიზნით, საქველმოქმედო საღამო გამართეს. ღონისძიება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და ქალაქის მერის უშუალო ჩართულობით ჩატარდა.

კონცერტი ჯუმბერ ღუნდუას სახელობის სახელმწიფო ანსამბლმა „გურია“ გახსნა. საღამოში მონაწილეობას ანსამბლი „შეიდაკაცა“, „ვანტანგური“, „ზენაარა“, „იბერია“ და „ლაშა-გიორგი“ იღებდნენ. სპეციალურად საღამოსთვის ოზურგეთის ბათუმის სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმი“ და ლაშა ღღონტის სტუდია სტუმრობდა.

ღონისძიებამ თბილ და უშუალო გარემოში ჩაიარა. კონცერტის ორგანიზატორები, მონაწილეები და მყურებელი ლუკა ჩხარტიშვილის დახმარების სურვილმა ერთ ამაღლებულ ემოციაში გააერთიანა და საბოლოოდ საღამო დადებითი განცდებით სავსე გამოვიდა.

„ეს ის შემთხვევაა, როცა ამ სცენაზე ღვთისმშობლის განსაკუთრებულად ვენერავთ. როცა საქმე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ეხება, სხვა დანარჩენი უკანა პლანზე გადაიწევა ხოლმე. მიხარია, რომ დღეს ყველანი გავერთიანდით ლუკას დასახმარებლად და დარწმუნებული ვარ, ერთად მისი დიანოზის დაძლევა აუცილებლად შეგძლებთ.“ - აღნიშნა სცენაზე გამოსვლისას ქალაქ ოზურგეთის მერმა **ბეგლარ სიორიძე**.

განსაკუთრებულად ემოციური იყო სცენაზე ლუკას დედის, ინგა ცენტრაძის გამოსვლა. მან საზოგადოებას და საღამოში მონაწილე ხელოვანებს მადლობა გადაუხადა. განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ქალაქის მერისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის მიმართ და რიგითი ოზურგეთელების მიერ გამოხატულ თანადგომაზე მადლიერებით ისაუბრა.

ლუკა ჩხარტიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება თირკმლის ანომალიას და სხვა თანმდევ პროცესებს უკავშირდება. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ და „კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის“ ცენტრმა საღამოს მაქსიმალური ორგანიზება გაუწიეს. ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ კი ლუკა ჩხარტიშვილის დასახმარებლად 500 ლარი პირადად გაიღო.

დაბრუნებული მილოცვა



რიხო ვალენტინა! დაბადების დღე 22 ოქტომბერს გქონდა, მაგრამ, მოხდა ისე, რომ, მაშინ სათქმელს, ახლა გვეუბნები.

იცილეთ, ყველას მართლა გვეყვარხარ. ბევრისგან გამოირჩევი დარბაისლობითა და თბილი, კეთილი გულით. უბრალო, მაგრამ ძალიან საჭირო ქალბატონი იყავი. მაშინდელ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქალთა სალონში

თმის ვარცხნილობის გემოვნებთან და კვალფიციურ ოსტატად თველებოდი. მიღებული გაქვს ბევრი ჯილდო და საპატიო სიგელი, რომლებსაც დღემდე ხელში ინახავ. ვინ დაითვლის შენი ხელობით კმაყოფილ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობა გქონდა თითქმის 40-წლიანი შრომითი საქმიანობის მანძილზე.

კარგი ოჯახის ქალბატონი გასწიე. ღირსეული მეუღლე, ორი შვილის დედა, ორი შვილიშვილის ბებია ბრძანდები. მადლიერი გყავს სანათესაო თუ კუთხემეზობლობა.

რამდენიმე წელია ჩვენი ქალაქის საკათედრო ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლის წევრი ხარ, მუდამ ლოცვების მკითხველი და გალობის განსაკუთრებული მოყვარული.

თქვენ გაიხარეთ! - მენ ჩვეულებრივად გაქვს ასე დალოცო ყველა. ჩვენ კი გვინდა ამის საპასუხოდ გითხრათ: გაიხაროს შენმა ოჯახმა, კეთილსმისურველთა სახელით, **გუსუნდა მახარაძე**

ოზურგეთელი მოჭიდავეების წარმატება

28-30 ნოემბერს, ქ. ქუთაისში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის თემურ აფხაზავას სახელობის მე-13 საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აღნიშნულ ღონისძიებაში მეთორ ადგილი დაიკავს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელებმა, 2001-2002 წლებში

დაბადებულია შორის, 38 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი თოხაძემ (მწვრთნელები-საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანი); 53 კგ. წონით კატეგორიაში საბა მამულაძემ (მწვრთნელი-მსოფლიო თასის მფლობელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი).

ისტორიის უპრეცედენტო

ეპოქა ფირალთა ზეობისა

(გაბრძობა) დასაწყისი ისილით №31, №47 2015 წელი

აგუნა ღვინის ღვთაება იყო. დამდეგ კალანდას, „ცხემლისჭრა საღამოს“ „დაბინდებისას“, მამობითი სქესის ოჯახის წევრები დიდ და პატარა მარანზე მიიტანდნენ გობს, რომელზედაც ეწყო ღვინის თავი, საავუნე ხაჭაპური და ერთი დოქი ღვინო. ოჯახის უფროსი შუა მარანში ჭურის თავზე, გობს დადგამდა, „სამ ღერ“ შინ ჩამოქილი წმინდა სანთელს გობის სხვადასხვა კუთხეში სიმეტრიულად მიამარებდა და „მოუკიდებდა“. გობს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა - „მშვიდობის წელიწადი გაუთენოს მის ოჯახს, მისცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი „ნამუშიერის“ ... სასმისით დაღვევდა ღვინოს, ზედ დაყოლებდა ხაჭაპურსა და ღვინის თავიდან ჩამონათაღს ერთ ლუკმას. სასმისს უფროსობის კვალობაზე სხვას გადასცემდა-თითოეული დალოცვის შემდეგ ღვინოს გადაკრავდა და სხვას გადასცემდა. დანაყრების შემდეგ იწყებოდა აგუნას გადასახება - აგუნას სიმღერა. მიდიან საწნახელთან, ყველას ხელში აქვს კომბალი-ფურძის ჩასაჭყლეტი ურო,

ცული, ნავახი, როვოტანა(ხვედა), ან მოკლე, მაგრამ მსხვილი „ტუკი“. საწნახელის გარშემო ჩაირახებან და მოიმარჯვებენ „იარალს“. გადამასხებელი, ძლიერ ხმამაღლა მღერის: აგუნა, აგუნა გადმეარე-ბახვი, ასკანა გადმოარეე... დანარჩენები ბანს შესძახებდნენ: ხო-ხო-ხო-ხო-ხო-იო, და რიტმულად ურანუნებდნენ საწნახელს... 1908 წელს ვაზ. „სავაჭრო გზა“-ში წინამძღვრანთ სკოლის კურსდამთავრებული, ფშველი იოსებ მინდლიაური წერდა: „ჩემს გარდა ამ 25 წლის განმავლობაში წინამძღვრანთ კარის სკო-



ლაში 83 მოსწავლეს დაუმთავრებია (სკოლა) სწავლა. უმეტესი ნაწილი გლეხის შვილები ვართ. ერთმა ჩვენგანმა ბო. მეგრელი იშვილმა, გურულმა ალტაში ნიკიტინის საიმპერიო საბაღონო სკოლაშიც დაამთავრა სწავლა, შემდეგ იყო ამავე წინამძღვრანთ კარის სკოლის მასწავლებლად, - დღეს იმას აბარია ქუთაისის მხარაში საუფლისწულო მამულები და ვენახები, ეძლევა კარგი ჯამაგირი. იმისი ცოდნა, იმისი კეთილმსჯელობა მუშაკობა ოქროს დიდებული საათით იქნა დაჯილდოებული.

იმისი ამხანაგი (ისიც გუგული) ხუნდაძე... ცხრა წელიწადი იყო წინამძღვრანთ კარის სკოლის მასწავლებლად, იმის მოწაფეთაგან ამ სკოლის სარდაფში დაყენებული ღვინოები: „რქა წითელი“ და „საფერავი“ ქ. თბილისში, ორიენტის სასტუმროში ბოთლი იყიდება არა ნაკლებ ერთი მანეთისა, ხოლო ერთი კიდევ ჩვენთაგანი, გვარად გავნიძე, შაპის ძმამ მიიწვია სპარსეთში, სადაც

გამართა ვარდების ახალშენი და ეძლეოდა ჯამაგირი თვეში 1200 მანეთი, გარდა საჭმელ-სასმელისა და საცხოვრებელი სახლისა. ყოველი მათგანი, წინამძღვრანთ კარის პირველი დირექტორის, იშვიათი აგრონომისა და დიდებული მეღვინეს, ერძილე ნაკაშიძის აღზრდილები იყვნენ, რომლებმაც შემდეგ გურუასაც დაატყვეს თავიანთი მზრუნველი ხელი. იოსებ მინდლიაურის ზემოხსენებულ წერილში დასახელებული თადეოზ გაბრიელის ძე მეგრელიშვილი სოფელ ფარცხიდან იყო, ძლიერ ღარიბი და ძლიერ ნიჭიერი. იგი ცნობილმა პედაგოგმა არსენ წითლიძემ დაამოძღვრა. არსენი შემდეგ წინამძღვრანთ კარის სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად. არსენმა მზრუნველობის ხელი გაუწოდა ნიჭიერ შვირდს. აპოლონ წულაძე გადმოგვცემს:

არსენმა გაბრიელ მეგრელიშვილი „თავისი ხარჯით მიაბარა წინამძღვრანთ კარის სამეურნეო სკოლაში და

თავისი 25 მანეთიანი ჯამაგირიდან მთელი წლის განმავლობაში თვეში 7 მანეთს მის შესანახად იხდიდა. მეგრელიშვილმა სამეურნეო სკოლაც პირველ მოწაფედ დაასრულა და შემდეგ ბატონ ილია წინამძღვრანიშვილის მეოხებით, ნიკიტინის სამეურნეო სკოლა დაამთავრა. სამსახურში ჩადგა. ძმა გამოხარდა ოჯახი ფეხზე დააყენა.

მათი თაოსნობით გურიის მეღვინეობის განვითარების თვალსაზრისით 1900 წელს ჩოხატაურის საბოჭალოში გაიხსნა კერძო სამეურნეო სკოლა თავისი ხარჯით. სკოლა კარგად იყო მოწყობილი. დამარსებლებმა სკოლას მოუპოვეს საკმაო მიწაც, მათაგანი (გაბრიელი) სპეციალურად მომზადებული მურნე იყო, მეორე კი მასწავლებელი. მოკლე ხანში გაშენდა სკოლასთან სამაგალითო ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი, ცოტა მოშორებით სკოლიდან, საზოგადო გზის პირას მოაწვეს ნამყენი ვაზის სანერგე, სადაც 5-6 სპეციალურად მომზადებული ახალგაზრდები ამყობდნენ და სხვადასხვა ვენახს, უვლიდნენ ნამყენს და ამერიკულ ვაზს. ყოველივე მუშაობა აქ დემონსტრირებულად, ხალხის თვალწინ ხდებოდა და ამიტომაც მოჰკიდეს აქაურებმა ხელი მევენახეობას. ამ სკოლის წყალობით მცოდნე მეურნეები გაჩნდნენ ამ კუთხეში, რამაც დააჩქარა ხალხში მევენახეობის გავრცელება და კარგი ღვინოებიც მოჰყავთ“.

ჩხავერის იშვიათი ვაზის ჯიში და მისგან დაწურული „გემიანი, სუნიანი ღვინო“ გურიის თითქმის ყოველ სოფელში ჰქონდათ უხვად და ულევად. მათი მარნის ჭურების პირთაძე იყო სავესე.

თელ სახოკასთან საუბარში 1877-1878 წლების „რუს-ოსმალის“ ომის მონაწილე სოფელ დვამბზე მცხოვრები

გურული მოლაშქრე თავმოქმედებდა ადრინავეს:

„ეს თვენახეარია (ბათუმში) იმ დასაწვავ საეადმყოფოში ვიყავი, მართალია იმის უფლება მაქვს, მუქათა მარჩინონ, საჭმელ-სასმელიც სახელმწიფო მეძლევა, მაგრამ რათ ვინდა. პურმა და იმითმა სუფმა მომკლა, ბატონო! რამდენჯერ ვინატრე, სად არის ჩემი დვამბუ, კაკლის ძირას მწვანე, ზედ გაშლილი სუფრა, ჩხავერის ღვინო, საწებლიანი ქათამი და ღობი მეთქი! მაგრამ ვინ მიგლო ყური. ვინდა თუ არა, ჭამე პური და სუფი ამ სიცხეში...“

ჩხავერთან ერთად „ადესაც“ საკმაოდ მომძღვრებული ჩანს ამ დროისათვის გურიაში და თავის „მოწონებასაც“ ცდილობს. უწინარეს ყოვლისა გურიის სოფლებზე ადრე ძველ ოზურგეთში გაუდგა მას ფესვი. იმავე ავტორის გადმოცემით:

ოზურგეთში ყველა სუფთად ცხოვრობს... ყოველ მოქალაქეს ეზოდ შემოკავებული აქვს ერთიდან ორ დღიურამდე და ამ შემოკავებულ სამოსახლოში ყველაფერია: ხეხილიც, საჩრდილობელი ხეხილიც, ბოსტანიც, საბაღახოცა, საქონლისა და ფრთოსანთათვის საკმაო ადგილიც; თითქმის ყველაგანაა: უზარმაზარი ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ბროწეული, ლეღვი, უმეველებელი თხემლები, რომლებზედაც გაშვებულია ვაზები- ნაქვს ჩხავერისა არ გვევლით, არა „ადესისა“.


აქვე ავტორი ვრცლად აგვიწერს როგორც საკუთრივ ოზურგეთს, ასევე ქალაქის სახელგანთქმულ ბაღსა და ამ ბაღში გავრცელებულ მცენარეებს.

(გაგრძელება იქნება)

მეხვერ ბოგუაძე

სულთსათსა

ბადრი რუსიევილის ბახსენება



სამწუხაროდ, ნაადრევ მოგონებად, მოუშუშებელ ტკივილად და დიდ დანაკლისად იქცა ჩვენთვის, მეგობარი და კოლეგა-ბადრი რუსიევილი.

ძნელია შესაფერისი სიტყვების პოვნა მისი ღირსებების გამოსახატავად.

უხადო პროფესიონალი, კაცთმოყვარე, გამორჩეული თავმდაბლობით, სიკეთითა და სულგრძელობით, სხვისი ღვინისა და ჭირის გამოხიარებელი, სანიმუშო მეგობარი, შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა და მოქალაქე. მასთან ურთიერთობაში ყოველთვის

იგრძნობოდა ინტელიგენტურობა, ზომიერება, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მორიდებული და თბილი იუმორი.

ბატონმა ბადრიმ პიროვნული და პროფესიული თვისებებიდან გამომდინარე დაიმსახურა და მიანიჭეს კიდევ ღირსების ორდენის კავალერის წოდება.


მისი პიროვნული ხიბლი ლამაზ მოგონებად და შეუვსებელ სიცარიელედ დაგვრჩება მის მეგობრებს.

იმედია, რომ ამ ქვეყნად დატოვებული სახელი და მადლი მისი სულის სიმშვიდის საფუძველი გახდება.

ბატონო ბადრი, უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი ღამა-ზი სული და დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი, იქ სადაც მართალნი განისვენებენ...

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, ბაჭყალია და მობილიზაციის სამსახური.

გური თენიევილი




40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმა შესანიშნავმა პიროვნებამ, ომისა და შრომის ვეტერანმა გური თენიევილმა დატოვა წუთისოფელი და საყვარელ მეუღლესთან - ლილი თენიევილთან ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მან განვლო ცხოვრების ურთულესი გზა, რეპრესირებული ოჯახით დაწვევული, ჯერ კიდევ ხალგაზრდა სტუდენტმა წმი-

დად მოიხადა ვალი საშობლოს წინაშე და პირნათლად დაბრუნდა, რომლის შემდეგმ აქტიურად ჩაება პარტიულ და სამეურნეო საქმიანობაში. მუშაობდა აგრონომად, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, რეგიონალური პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, ნავომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, რაიკოპაკეშირის თავმჯდომარედ, ნასაკირალის მეურნეობის მთავარ აგრონომად. იგი იყო პრინციპული და საქმის მცოდნე მუშაკი. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით. იყო შესანიშნავი მამა, მეუღლე, ბაბუა და მეგობარი. სადაც კი მუშაობდა, დატოვა სითბო და სიყვარული.

მის სახელს დავიწყება არ უწერია. მის ხსოვნას წმინდად შეინახვენ შვილები და შვილიშვილები.

უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ასლოზაბი



მას „გაშმენი 18“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის და მონიტორინგის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის იაშა მჟავანაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

განცხადებები

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში იყიდება 400 კვ. მეტრი ფართის კეთილმოწყობილი საბანკო დასახლება. ქალაქ ოზურგეთში იყიდება ყვამაჯი პარკი სახლი. ტელ. 593 95 61 83

იყიდება, ძირაგდება ბინა ბრიზომლოვის ქ. №21-ში, I სართული, 90 კვ., რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საქმიანობისათვის და საოფისად.

იყიდება შიკოპოლიში 410 კვ. მ მიწის ნაკვეთი, ივანიშვილის დასახლებაში სახლის მეზობლად. იყიდება მიწა 9 400 კვ. მოპულეთის ტრასაზე, ანასულის ბაღსაგანმშენი 400 მეტრის დაშორებით ტელ. 599 58 75 32.

„სელოვნების ძურუმი“



ნის კავალერი და ფოლკლორის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 2013 წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ მომდერალს „ქართული ხალხური სიმღერის მოამგის“ საპატიო წოდება მიანიჭა. გური სისარულიძეს 23 ნოემბერს 85 წელი შეუსრულდა.

იმვე დღეს ანზორ ერქომაიშვილი და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე დასავლეთ საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ხალხური შემოქმედების სკოლის აღსაზრდელებს შეხვდნენ და მოუხმინეს.

ცენტრის დირექტორი ავთანდილ სურგულაძე სტუმრებს სკოლის მუშაობაზე ესაუბრა.

28 ნოემბერს, სოფელ მაკანეთში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, უზუცეს მომდერალს გური სისარულიძეს, ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, კულტურის სამინისტროს უმაღლესი ვიდელო - „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა. ღონისძიებას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ვია სალუქვაძე, ოზურგეთის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე ესწრებოდნენ.

გურული სიმღერის ერთ-ერთი უზუცესი შემსრულებელი გური სისარულიძე ღონისძიების ორდე-



ავტომობილები განვადებით



- მიტუბიში აირტეკი - 2002 წ. - 1350
- პაჯერო იო - 2002 წ. - 1700
- ტოიოტა ვოქსი - 2004 წ. - 1250
- ტოიოტა პასსო - 2010 წ. - 1600
- ტოიოტა რაე-4 - 2000 წ. - 3100
- ნისან ტიდა - 2005 წ. - 1400
- ნისან მარჩი - 2004 წ. - 1000
- ნისან ფუგა - 2005 წ. - 2100
- ჰონდა ფიტი - 2008 წ. - 1650
- ჰონდა ცრე - 2003 წ. - 2400
- ფონდა სივიკი - 2003 წ. - 1200
- მაზდა დემიო - 2003 წ. - 900
- მაზდა მპე - 2004 წ. - 1100
- მაზდა ტრიბუტე - 2003 წ. - 1300

- სუზუკი ქარი ტრიუკი - 1999 წ. - 1150
- სუბარუ ფორესტერ - 2002 წ. - 1350
- სუბარუ ლეგასი - 2005 წ. - 1700
- სიბარუ ოუტბაქსი - 2004 წ. - 1550
- მერსედესი ე კლასი - 2003 წ. - 3700
- ბმე 525ი - 2004 წ. - 4050

ფასები მითითებულია აშშ დოლარში

მანქანის ჩამოსვლის შემდეგ იხდით კონტინენტის თანხას
ტელ. 595 11 10 30; ფურა, 598 47 47 03 ღათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მ-2 საჯარო სკოლის გვერდით.

გურიის XX, საიუბილეო, საჭადრაკო ჩემპიონატის წინ

გურიის რეგიონალური საჭადრაკო ჩემპიონატის ჩატარებას 1995 წელს ჩაყარა საფუძვლი, ანუ მას შემდეგ, რაც ერთუნიანსთა ვეფხვმა გურიის ჭადრაკის ფედერაცია ჩამოაყალიბებო. დღეს იგი თავისი ქვედითუნარაზობით და სტაბილური ფუნქციონირებით ერთერთი მოწინავე ფედერაცია და აღიარებული ქვეყნის მასშტაბით. განსხვავებით სხვა რეგიონალური ფედერაციებიდან, პრაქტიკულად იგი ერთადერთია, რომელიც ყოველგვარი ჩაყარების გარეშე ყოველწლიურად ატარებს რეგიონალურ ჩემპიონატებს, როგორც დიდებში, ისე ასაკობრივ

კატეგორიებში. როგორც წესი რეგიონალურ შეჯიბრებებს წინ უძღვის მუნიციპალური პირველობები და სხვასხვა ღონის ოფიციალური ტურნირები. განვლილი 20 წლის მანძილზე ფედერაციას 341 ღონისძიება აქვს ორგანიზებული, მ.შ. 2 საერთაშორისო, 3 რესპუბლიკური, 46 რეგიონალური მნიშვნელობის.

დაფუძნების დღიდან დღემდე ფედერაციაში 867 მოჭადრაკეა აღიარებული, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული ფედერაციის ვედიო ჩატარებულ ღონისძიებებში.

ბოლო ორი წლის მონაცემებით, რეგიონში აქტიურად ითვლება 165 მოჭადრაკე. მშერთი ეროვნული ოსტატია, 28 ოსტატობის კანდიდატი და 60-მდე პირველთაზრიგოსანი. რეგიონალური ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა სულ 54 მოჭადრაკეს აქვს მიღებული, მათგან როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, საპრიზო სამეულში მოხვედრა მხოლოდ 17 მოჭადრაკემ შეძლო.

ჩემპიონი	ჩატარების ადგილი და წელი	ჩემპიონი	II ადგილი	III ადგილი
I	ქ.ოზურგეთი-1995	ამირან ბერძენიშვილი(ჩოხ.)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	შალვა შარაშიძე(ოზურ)
II	ქ.ოზურგეთი-1996	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	რუსუდან ჭკუასელი (ლანჩ)	ლანა ლომაძე (ოზურ)
III	ქ.ოზურგეთი-1997	რუსუდან ჭკუასელი (ლანჩ)	ლანა ლომაძე (ოზურ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
IV	ქ.ლანჩხუთი-1998	რუსუდან ჭკუასელი (ლანჩ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	თემური ფირცხლაიშვილი(ლანჩ)
V	ქ.ლანჩხუთი-1999	რუსუდან ჭკუასელი (ლანჩ)	თორნიკე ხვედელიძე (ოზურ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)
VI	ქ.ოზურგეთი-2000	თორნიკე ხვედელიძე (ოზურ)	დავით ცეცხლაძე (ოზურ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
VII	ქ.ოზურგეთი-2001	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლან)	ქრისტინა მუავია (ლანჩ)
VIII	ქ.ლანჩხუთი-2002	მინდია ჩხიკვიშვილი(ოზურ)	ადამ ხუბუნაიშვილი(ლანჩ)	ჭკუასელი რუსუდან(ლანჩ)
IX	ქ.ოზურგეთი-2003	ქრისტინა მუავია (ლანჩ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)	გიორგი გოგოლაური(ოზურ)
X	ქ.ოზურგეთი-2004	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	მინდია ჩხიკვიშვილი(ოზურ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)
XI	ქ.ოზურგეთი-2005	ქრისტინა მუავია (ლანჩ)	გიორგი გოგოლაური(ოზურ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
XII	ქ.ლანჩხუთი-2007	ქრისტინა მუავია (ლანჩ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
XIII	ქ.ოზურგეთი-2008	ქრისტინა მუავია (ლანჩ)	გიორგი გოგოლაური(ოზურ)	გიგა ქუტიძე (ოზურ)
XIV	ქ.ლანჩხუთი-2009	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)	როლანდი ჩხაიძე (ლანჩ)
XV	ქ.ოზურგეთი-2010	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)	ცეცხლაძე დავით (ოზურ)	გივი ქორიძე (ჩოხატ)
XVI	დ.ჩოხატაური-2011	გივი ქორიძე (ჩოხატ)	ელგუჯა ურუშაძე (ოზურ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
XVII	ქ.ოზურგეთი-2012	გივი ქორიძე (ჩოხატ)	დავით ცეცხლაძე (ოზურ)	ნუგზარ გვარჯალაძე(ლანჩ)
XVIII	ქ.ოზურგეთი-2013	დავით ცეცხლაძე (ოზურ)	გიორგი გოგოლაური (ოზურ)	ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)
XIX	ქ.ოზურგეთი-2014	მინდია ჩხიკვიშვილი(ოზურ)	გივი ქორიძე (ჩოხატ)	ადამ ხუბუნაიშვილი (ლანჩ)
XX	ქ.ოზურგეთი-2015	?	?	?

გურიის ჩემპიონობას კი სულ 9 მოჭადრაკე ფლობდა: ქრისტინე მუავია 4-ჯერ, ნუგზარ გვარჯალაძე და რუსუდან ჭკუასელი (ყველა ღონისძიებაში) 3-3 ჯერ, ტარიელ ხუბუნაიშვილი (ლანჩხუთი), გივი ქორიძე (ჩოხატაური), მინდია ჩხიკვიშვილი (ოზურგეთი) 2-2 ჯერ, ამირან ბერძენიშვილი (ჩოხატაური), თორნიკე ხვედელიძე

(ოზურგეთი) და დათო ცეცხლაძე (ოზურგეთი) თითოჯერ; ღონისძიებიდან ოთხმა მოჭადრაკემ იჩემპიონა (ჯამში 12-ჯერ), სამმა ოზურგეთელმა (ჯამში 5-ჯერ), ორმა ჩოხატაურელმა (ჯამში-3-ჯერ). ამვე ცხრილიდან ჩანს, რომ ჩემპიონატს 14 - ჯერ ოზურგეთმა უმაჰინებლა, 5-ჯერ ღონისძიებაში,

ერთჯერ კი ჩოხატაურმა. ყველა ჩემპიონატის მონაწილე ღონისძიებელი ოსტატობის კანდიდატები ნუგზარ გვარჯალაძე და ტარიელ ხუბუნაიშვილი, რომლებიც შესაბამისდ 11-ჯერ და 8-ჯერ შევიდნენ საპრიზო სამეულში.

კლოცაჟი!



ჩენი საყვარელი ნინო!

კლოცაჟი დახადების დღეს. გისურვებ ჯანის სიძითგოს, დღეგრძელობას, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ულუ სინაზიგოს, რომელსაც შენ უხვად გასცემ და რომელსაც ოძსანურებ. მუდამ მოუუხეუესე საქმიან, სამართლიან, თანამდგომ და საყვარელ მასწავლებელს არასდროს მოგკლებოღეს ჯოსზრდელგებისა და კოლეგების სიბო და სიყვარული.

ცხემლისიღის საჯარო სკოლის კოლმეტიში; სმეტიკ რაიონული ორგანიზაციი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +1+10 7 დეკემბერი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +2+10 8 დეკემბერი სამშაბათი	მზე +2+11 9 დეკემბერი ოთხშაბათი	მზე +2+13 10 დეკემბერი ხუთშაბათი	მზე +10+17 11 დეკემბერი პარასკევი	მზე, ღრუბელი +8+16 12 დეკემბერი შაბათი	მზე, ღრუბელი +7+16 13 დეკემბერი კვირა
--	---	------------------------------------	-------------------------------------	--------------------------------------	---	--